

ხელშეკრულება № 32
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.გორი

7 ნოემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდი (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მერი ბერიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს ნიკი და კომპანი მისი დირექტორი ნათელა მარტინენკოს (ს/კ 417886906) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მთარგმნელობითი მომსახურების (CPV79530000) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად..

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: ა) მთარგმნელობითი მომსახურება თარგმნა ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე- 5 გვერდი- 50 (ორმოცდაათი) ლარი (CPV79530000).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მომსახურების ადგილია: ქ.დ. ამილახვრის ქ. 23.

6. შესყიდვის ობიექტის მირება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

7.4. ანაზრაურების ადგილია: ქ.გორი სამეფოს ქ. 17

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მირება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს

- მოთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოთა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება. ინსპექტირებას და მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი პირი.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს ყფლება გადასცეს მესამე პირს ტავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებიტა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერილ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდი
მისამართი: ქ. გორი, სამეფოს ქ. 17.
საბანკო რეკვიზიტი. ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ს/კ 218062646

სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდის სამხატვრო
ხელმძღვანელის მ/შ

მერი ბერიკაშვილი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს ნიკი და კომპანი
მისამართი: ქ. გორი, დ. ამილახვრის ქ. 23
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის N: GE69TB7452336080100002
ს/კ 417886906

დირექტორი

ნათელა მარტინენკო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი

7 ნოემბერი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ჩვენ, ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდის მიერ 2018 წლის 7 ნოემბერი დადებული N32 ხელშეკრულება შ.პ.ს ნიკი და კომპანიასთან (ს/კ417886906) გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სამხატვრო ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი



მერი ბერიკაშვილი

ბულალტერი

მ. ხოლაძე

თამარ კოდალაძე